

შპს „გიკო“
ს.ნ. 424065914

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -	3
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	5

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	6
2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	6
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	8
4. კორექტირება წარდგენის მიზნებისათვის.....	9
5. ძირითადი საშუალებები	9
6. მარაგები.....	10
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	10
8. ფული და ფულის ექვივალენტები.....	10
9. მიღებული სესხები	10
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11
11. შემოსავალი	11
12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12
13. ბალანსის შემდგომი მოვლენები	12

შპს „გიკო“-ს 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (შესადარისი პერიოდი - 31.12.2019 და 31.12.2018).

	N	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	1	630 453	8 363	327 425
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	84 734	269 736	235 982
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	3	3 830	96 093	49 655
მარაგები	4	7 466	462 950	82 899
- მზა პროდუქცია	5		-	4 669
- სხვა	6			
სხვა მოკლევადიანი აქტივები	7	132 037	24 433	-
ძირითადი საშუალებები	8	462 103	251 870	179 272
სხვა არამატერიალური აქტივები	9	232	232	373
სულ აქტივები	10	1 320 855	1 113 677	875 606

ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	11	65 222	181 453	20 623
ანარიცხები	12	-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	13	6 000	13 664	-
საგადასახადო ვალდებულებები	14	18 114	-	4 472
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	15	97 600	-	-
სხვა ვალდებულებები	16	100 000	43 023	-
სულ ვალდებულებები	17	286 936	238 140	25 095

საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი შპს-ში	18	200	200	200
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	19	1 033 719	875 337	850 311
სულ საკუთარი კაპიტალი	20	1 033 919	875 537	850 511
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	21	1 320 855	1 113 677	875 606

შპს „გიკო“-ს 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგება.

	N	2020	2019
ნეტო ამონაგები		3 093 798	1 778 542
საქონლის გაყიდვიდან	12	84	63790
მომსახურების გაწვიდან		11214	25580
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	12	3082500	1686172

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(2 709 479)	(1 473 803)
საერთო მოგება		384 319	304 739

დასაქმებულთა ანაზღაურება		(96 840)	(142 207)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		(72 724)	(46 850)
საპროცენტო ხარჯი			
იჯარის ხარჯი		(10 000)	(6 000)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	13	(48 739)	(64 933)
სულ საოპერაციო ხარჯები		(228 303)	(259 990)

საოპერაციო მოგება		156 016	44 749
--------------------------	--	----------------	---------------

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		3 383	(19 606)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		159 399	25 143
მოგების გადასახადი		(1 017)	(117)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/(ზარალი)		158 382	25 026

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	875 537	850 511
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1 033 919	875 537

შპს „გიკო“-ს 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.

	2020	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	524 490	(362 085)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	97 600	43 023
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-	-
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	622 090	(319 062)
სავალუტო კურსის ეფექტი	-	
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	8 363	327 425
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	630 453	8 363

ზოგადი ინფორმაცია

შპს „გიკო“ (424065914) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობის სფეროა სამშენებლო-სარემონტო მომსახურების წარმოება. კომპანია დაფუძნდა 2011 წელს. დამფუძნებელი, 100%-იანი წილის მფლობელი და დირექტორი, 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არის პაატა ფოცხვერაშვილი (პ/ნ 01021006262) მარეგისტრირებული ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. იურიდიული მისამართი - საქართველო, ახალციხის რაიონი, სოფ.კლდე ფაქტობრივი მისამართი (ოფისი)- საქართველო, ქ. თბილისი, ე. გაბაშვილის ქ.7

კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

2.2 მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება

მოცემული ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება. კომპანია დაფუძნებისთანავე ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

2.3 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ზანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2020, 2019, წლის 31 დეკემბერსა და 2019 წლის 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095
2019 წლის 1 იანვრისათვის	2.6727	3.0592

2.4 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად. ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღიარდება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს შემცირებადი ნაშთის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები
შენობა ნაგებობები	20 წელი
საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 წელი
მანქანა-დანადგარები და სხვა ინვენტარი	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

2.5 არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება 8 წლით.

2.6 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური აქტივს ან ფინანსური ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას. სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს

2.7 გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, შეწირულობებზე, ზენორმატიულ დანაკარგებზე, ბიზნესთან დაუკავშირებელ

დანახარჯებზე და სხვა. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

2.8 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისადაღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

2.9 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

კომპანიაში მარაგები უმეტესწილად წარმოადგენილია სამშენებლო-სარემონტო მასალების სახით. მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე. საწარმო მარაგის ჩამოწერას ახორციელებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

2.10 საგარანტიო ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების დაფარვა და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასატუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

2.11 შემოსავალი

საწარმო ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა

საწარმო ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.

2.12 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

საწარმომ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ

მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

კორექტირება წარდგენის მიზნებისათვის

კომპანიას არ განუხორციელებია კორექტირება 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2020, 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწის ნაკვეთებ ი	შენობა- ნაგებობებ ი	მანქანა- დანადგარები და სხვა ინვენტარი	სატრანსპორ ტო საშუალებები	ოფისის აღჭურვი ლობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
ისტორიული ღირებულება 31.12.2019	500	7000	27307	350594	36239	421 640
შემოსვლა	-	-	5424	269874	7439	282737
გასვლა	-	-				-
ისტორიული ღირებულება 31.12.2020	500	7000	32731	620468	43 678	704376
დაგროვილი ცვეთა						
დაგროვილი ცვეთა 31.12.2019	-	1314	17856	135141	15237	169588
ცვეთა	-	284	2463	64537	5438	72724
გასულების დაგროვილი ცვეთა		-				-
დაგროვილი ცვეთა 31.12.2020	-	1598	20319	199678	20675	242272
წმინდა საბალანსო ღირებულება						
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2019	500	5686	9451	215453	21002	251870
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2020	500	5402	12412	420 790	23003	462103

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები 2020, 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
წედლეული და მასალები	5 846	323 972
დაუმთავრებელი წარმოება	1620	138 134
სხვა მარაგები	-	844
სულ	7 466	462 950

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2020, 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	84 734	269 736
გადახდილი ავანსები	3 830	96 093
სულ	88 564	365 819

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2020, 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ნაღდი ფული	61 873	863
ფული საბანკო ანგარიშებზე	568 580	7500
სულ	630 453	8 363

მიღებული სესხები

გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები 2020, 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
საბანკო კრედიტი	97 000	-
სულ	97 000	-

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2020, 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
სავაჭრო ვალდებულებები	65 222	181 453
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	6 000	13 664
მიღებული ავანსები	100 000	-
საგადასახადო ვალდებულებები	18 114	-
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	43023
სულ	189 336	238 140

შემოსავალი

კომპანიის შემოსავლები 2020 და 2019 წლისათვის შედგება სამშენებო პროექტებიდან, საქონლისა და სხვა მომსახურების გაყიდვებიდან

	2020	2019
შემოსავალი სამშენებლო პროექტებიდან	3082500	1686172
შემოსავალი საქონლის გაყიდვებიდან	84	63790
შემოსავალი მომსახურებიდან	11214	25580
სულ	3 093 798	1 778 542

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
რემონტის ხარჯი	29185	41293
ავტომანქანის ხარჯი	785	1858
ოფისის ხარჯი	3237	427
სხვა საგადასახადო ხარჯი	3697	2351
საკონსულტაციო ხარჯი	-	3120
დაზღვევის ხარჯი	1119	34
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯი	496	3616
მივლინების ხარჯი	-	5145
საბანკო ხარჯი	2821	3211
სხვა საერთო ხარჯები	7399	3878
სულ	48739	64933

ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ბალანსის შემდგომ ისეთ მოვლენებს, რომელთა განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნება აუცილებელია.